დამტკიცებულია სსიპ _ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახ.

სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს

2011 წლის 10 მაისის სხდომაზე # 7

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

სამუსიკისმცოდნეო კვლევები

სპეციალობები:

მუსიკის თეორია, მუსიკის ისტორია, ეთნომუსიკოლოგია, საეკლესიო მუსიკოლოგია, საშემსრულებლო ხელოვნების ისტორია და თეორია.

პროგრამის ხელმძღვანელები:

მუსიკის თეორიის სპეციალობით - პროფესორი ივანე ჟღენტი
მუსიკის ისტორიის სპეციალობით - ასოც. პროფესორი მარინა ქავთარაძე
ეთნომუსიკოლოგიის სპეციალობით - ასოც. პროფესორი ნატალია ზუმბაძე
საეკლესიო მუსიკოლოგიის სპეციალობით - ასოც.პროფესორი თამარ ჩხეიძე
საშემსრულებლო ხელოვნების ისტორიის და თეორიის სპეციალობით - ასოც. პროფესორი ნანა შარიქაძე

მისანიჭებელი კვალიფიკაცია;

კურსდამთავრებული მიიღებს ელოვნებათმცოდნეობის დოქტორის აკადემიურ ხარისხს

პროგრამის მოცულობა: 180 კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მუსიკის თეორიის, მუსიკის ისტორიის, ეთნომუსიკოლოგიის, საეკლესიო მუსიკოლოგიის და საშემსრულებლო ხელოვნების ისტორიის და თეორიის სპეციალობით მოამზადოს **ხელოვნებაღმცეოდნეობის დოქტორის** აკადემიური ხარისხის მქონე უმაღლესი დონის თეორიული ცოდნით აღჭურვილი მეცნიერი–მკვლევარი.
სადოქტორო პროგრამა ითვალისწინებს უმაღლესი სამუსიკო საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალის მომზადებას.
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება შესაძლებლობა ხელოვნებისა თუ კულტურის მიმართულებით იმუშაოს ნებისმიერ

იმ თანამდებობაზე, სადაც აუცილებლად მოეთხოვება ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხი: შესაბამისი დარგის თეორიული კვლევები, უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა, შემოქმედებით-პრაქტიკული პროფესიული საქმიანობა, სამუსიკო ხელოვნების დარგების მენეჯმენტი.
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის პროფესიული მოღვაწეობის სფეროებია - სამეცნიერო–კვლევითი, სასწავლო–აღმზრდელობითი, შემოქმედებით-პრაქტიკული, საექსპერტო–კონსულტაციური, სოციალურ–პრაქტიკული, საორგანიზაციო–მმართველობითი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვებიან მაგისტრატურის აკადემიური ხარისხის, უმაღლესი აკადენიური სამუსიკო განათლების მქონე პირები.
პროგრამაზე ჩაირიცხებიან პირები, რომლებმაც გაიარეს კონკურსი შემოქმედებით ტურში/ტურებში.

სწავლის შედეგები
ცოდნა და გაცნობიერება:

- პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებულს შეძენილი აქვს მუსიკისმცოდნეობის არჩეულ სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებული სიღრმისეული ცოდნა, რაც რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე მუშაობის საშუალებას იძლევა;
- სრულად ფლობს მუსიკისმცოდნეობის შესაბამისი დარგისათვის სპეციფიკური თეორიულ-ანალიტიკური კვლევის დამოუკიდებლად წარმართვის მეთოდებს;
- სრულად ფლობს მუსიკალური ხელოვნების, კულტურის ისტორიის, თეორიის, ესთეტიკის, პედაგოგიკის და სხვა მონათესავე მეცნიერებების უახლოეს კონცეფციებსა და თეორიებს;
- აცნობიერებს განახლებულ ფარგლებში სამუსიკისმცოდნეო მეცნიერების, როგორც დარგის, საერთო სტრუქტურასა და მის ურთიერთკავშირს ხელოვნების, მეცნიერების სხვადასხვა დარგებთან;
- თავად ქმნის მუსიკისმცოდნეობის არჩეულ სფეროში ახალ ცოდნას, რომელიც მის მიერ ჩატარებულ კვლევას ემყარება და რეალიზაციას ჰპოვებს დასრულებულ გამოკვლევაში – სადისერტაციო ნაშრომში.
- იცნობს სამუსიკისმცოდნეო დარგის სპეციალური საგნების სწავლების ტრადიციულ და თანამედროვე მეთოდებს; მუსიკალური პედაგოგიკის ევოლუციის ძირითად ეტაპებს; ქართული სამუსიკო განათლების ტრადიციებს; მუსიკალური განათლებისა და პედაგოგიკის დარგის საქმისწარმოების საფუძვლებს;

- იცნობს ჟურნალისტიკის საფუძვლებს, ჟანრებს (სტატია, რეპორტაჟი, ესსე, ინტერვიუ);
- ფლობს სტილისტური და ლიტერატურული რედაქტირების მეთოდებს;
- აქვს მენეჯმენტის მეთოდოლოგიური საფუძვლების, მარკეტინგის, სახელოვნებო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის, სოციალური ფაქტორების ცოდნა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები

- პროგრამის დასრულების შემდეგ დოქტორანტი **შეიძენს:**
- სამუსიკისმცოდნეო კვლევის დამოუკიდებლად წარმართვის უნარს;
- სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგების ანალიზის და განზოგადების უნარს მეცნიერების თანამედროვე მიღწევების და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;
- წყაროთმცოდნეობის კვლევების განხორციელებისთვის თანამედროვე მონაცემთა ბაზებთან მუშაობის უნარს;
- ახალი სამეცნიერო მიდგომების და მეთოდების გამომუშავების უნარს;
- ანალიტიკურ სტატიების, სამეცნიერო ნარკვევების, მუსიკალური ხელოვნების სფეროში კრიტიკულ წერილების, ტელე- და რადიოგადაცემების მოამზადების უნარს;
- საკუთარი კვლევის შედეგების საჯარო პრეზენტაციის (მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში) უნარს;
- სამეცნიერო, შემოქმედებითი პროექტების, მათ შორის პედაგოგიურ სფეროში, დაგეგმვის, დამუშავების და რეალიზაციის უნარს;
- მის მიერ შექმნილი ახალი ცოდნის ტრანსფორმირების და პრაქტიკაში გამოყენების უნარს;
- ახალი სასწავლო კურსების დამოუკიდებლად დამუშავების უნარი;
- სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხელმძღვანელობის უნარს;
- საგანმანათლებლო საქმიანობის, სამუსიკო ხელოვნების პროპაგანდის უნარს;
- **განახორციელებს** სამეცნიერო-მეთოდურ გამოკვლევას სამუსიკო პედაგოგიკის და განათლების სფეროში;
- **გამოიმუშავებს** სწავლების საკუთარ პედაგოგიურ მეთოდებს;
- **მიიღებს** უმაღლეს მუსიკალურ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების გამოცდილებას;
- **გამოაქვეყნებს** სადისერტაციო თემატიკასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სტატიებს;
- **დაიცავს** სადისერტაციო ნაშრომს.

დასკვნის უნარი

- კრიტიკული მიდგომის გათვალისწინებით კურსდამთავრებულს შეუძლია რთული და წინააღმდეგობრივი სამეცნიერო მონაცემების ანალიზი;
- შეუძლია ახალი მიდგომების სინთეზი, რითაც სახელოვნებო მეცნიერების მუსიკისმცოდნეობის სფეროში ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/ განვითარებას უწყობს ხელს;
- აქვს უნარი პრობლემის გადაჭრისათვის დამოუკიდებლად მიიღოს სწორი და ეფექტური გადაწყვეტილება და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი რესურსები;
- შეუძლია ეთიკური დილემების ანალიზი, მართვა და მათი გადაჭრა.

კომუნიკაციის უნარი

სამუსიკისმცოდნეო კვლევების სადოქტორო პროგრამა თეორიული კვლევის გარდა ითვალისწინებს დოქტორანტის შემოქმედებით-პრაქტიკული კომპეტენციების სრულყოფას, ამიტომ კურსდამთავრებულის კომუნიკაციის ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებას წარმოადგენს თვით სამუსიკო ხელოვნების ენა.

- კურსდამთავრებულს აქვს მსმენელთა ფართო აუდიტორიასთან, სტუდენტებთან, სამეცნიერო საზოგადოებასთან, სოციალურ პარტნიორებთან (საკონცერტო ორგანიზაციებთან, მედიის პერიოდულ ორგანოებთან) კომუნიკაციის უნარი;
- აქვს მუსიკალურ-შემოქმედებით კოლექტივებში და საგანმანათლებლო დაწესებულებებში კოლეგიალური კომუნიკაციის უნარი;
- ფლობს ქართული სამეტყველო ენის თავისებურებებს, შეუძლია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებაში დამაჯერებელი, დამოუკიდებელი და კომპეტენტური კომუნიკაცია ქართულ ენაზე; იცნობს ქართული ენის კომუნიკაციურ, ინფორმაციულ და ფსიქოლოგიურ ასპექტებს; იცნობს თანამედროვე საჯარო მონოლოგის და კლასიკური რიტორიკის საფუძვლებს;
- იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, მათ შორის სამუსიკისმცოდნეო მოღვაწეობის სფეროში;
- საკომუნიკაციო დონეზე ფლობს ერთ უცხო ენას (გააჩნია უცხო ენაზე სამეცნიერო ტექსტების თარგმნის და შედგენის უნარი); შეუძლია სამუსიკო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე.

სწავლის უნარი

- აქვს სპეციფიური სამეცნიერო, შემოქმედებითი უნარები და უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რომელსაც იყენებს კვლევის პროცესში და შემოქმედებით/პრაქტიკულ საქმიანობაში;

- შეუძლია საკუთარი სწავლის გაუმჯობესების პროცესის მართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით;
- შეუძლია საკუთარი და სხვების სწავლის ადეკვატური შეფასება;
- შეუძლია სხვების სწავლის პროცესის დაგეგმვა და მართვა.

ღირებულებები

- აქვს შემოქმედებითი და მაღალი მხატვრული ღირებულებანი და ზრუნავს მათ განვითარებაზე;
- ნებისმიერ სიტუაციაში იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს;
- აქვს საზოგადოებაში მიღებული მორალურ-ეთიკური და სამართლებრივ-სოციალური ურთიერთობების ნორმების დაცვის უნარი;
- იჩენს პატივისცემას ისტორიული მუსიკალური მემკვიდრეობის და კულტურული ტრადიციების მიმართ, ტოლერანტობას სხვა მუსიკალურ კულტურათა მიმართ.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნის შეფასება სასწავლო კურსებში ხორციელდება საქართველოში მოქმედი კანონდებლობის შესაბამისად შემდეგი სქემით:

ქულები	ქულების ასოითი აღნიშვნა	შეფასების აღნიშვნა
91 – 100	A	ფრიადი
81 – 90	B	ძალიან კარგი
71 – 80	C	კარგი
61 – 70	D	დამაკმაყოფილებელი
51 – 60	E	საკმარისი
41 – 50	FX	ვერ ჩააბარა
0 – 40	F	ჩაიჭრა

სადისერტაციო ნაშრომის შეფასება ხორციელდება შემდეგი სქემით:

- ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი.
- ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება.
- კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება
- საშუალო (bene) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს.
- დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს.
- არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს.

- სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

სასწავლო გეგმა

№	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტები
1	საკვალიფიკაციო ნაშრომის მომზადება	126
2	საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვა	20
3	აკადემიურ-პედაგოგიური პრაქტიკა	8
4	პედაგოგიკის ტრადიციული და თანამედროვე მეთოდები	10
5	ალტერნატიული სპეციალური სასწავლო კურსები*	16
6	სულ საათები, კრედიტები	180

დოქტორანტს უფლება აქვს გააკეთოს ინდივიდუალური განაცხადი ნებისმიერ სასწავლო კურსზე, რომელიც იკითხება კონსერვატორიაში ან კონსერვატორიის პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და შესაბამისობაშია დოქტორანტის საკვალიფიკაციო ნაშრომის თემატიკასთან.

*ალტერნატიული სასწავლო კურსების ხანგრძლივობა და მათი გავლის ვადები დგინდება დოქტორანტის ხელმძღვანელის რეკომენდაციების საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს კონსერვატორიის სადისერტაციო საბჭო.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური და ადამინაური რესურსები:

სადოქტორო პროგრამის განსახორციელებლად კონსერვატორიას გააჩნია პრაქტიკული და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობისთვის აუცილებელი, სანიტარული და ხანძარსაწინააღმდეგო ნორმების შესაბამისი მატერიალურ–ტექნიკური ბაზა: სათანადოდ მომზადებული (მუსიკალური ინსტრუმენტები, კომპიუტერები, ბგერითი იზოლაცია, ვენტილაცია, გათბობის სისტემა, მერხები, დაფები, სადემონსტრაციო მოწყობილობა – აუდიო და ვიდეო ტექნიკა) სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, საკონცერტო და სარეპეტიციო დარბაზები, საოპერო სტუდია. სტუდენტი უზრუნველყოფილი იქნება ბიბლიოთეკების, ფონოთეკის მომსახურებით (ბიბლიოთეკის წიგნადი, სანოტო და აუდიო ფონდებით, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერით).

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:
კონკურსის საფუძველზე მიღებული აკადემიური პერსონალი, მოწვეული მასწავლებლები/სპეციალისტები და დამხმარე პერსონალი.

პროგრამის გაუმჯობესების სტრატეგია

პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების, სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურსების წამყვანი აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლების და სტუდენტების გამოკითხვის შედაგად მიღებული შეფასებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით პროგრამა ექვემდებარება განახლებას, საჭიროების შემთხვევაში - მოდიფიცირებას.